

საველე-გეოლოგიური მარშრუტი - თბილისის ზღვა-ავჭალის მიმართულებით

2015 წლის 10 დეკემბერს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტები ვიმყოფებოდით საველე-გეოლოგიურ მარშრუტზე - თბილისის ზღვისა და ავჭალის მიმდებარე ტერიტორიებზე.

დილით, ტექნიკური უნივერსიტეტის მესამე კორპუსის ეზოდან, ჩვენს პროფესორ-მასწავლებლებთან - ბ-ნ. ვაჟა გელეიშვილთან, ბ-ნ. სულხან გველესიანთან და ბ-ნ. შალვა გეგიასთან ერთად გავემართეთ თბილისის ზღვის მიმართულებით.



გასვლის წინ

პირველად შევჩერდით თბილისის ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე. აქ გავეცანით ზოგად ინფორმაციას თბილისის ზღვის წარმოშობის შესახებ და დავაზუსტეთ ჩვენი შემდეგი ამოცანა.

თბილისის ზღვა შეიქმნა მლაშე ტბების - ავლაბრის, იალგუნიალისა და კუკიის ადგილას. ვრცელდება ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში იგი განიერია, სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ - ვიწრო. სიგრძე - 8,75 კმ, უდიდესი სიგანე 1,85კმ. ფართობი 11,6 კმ². საზრდოობს მდინარე ივრის წყლით, რომელიც მასში სამგორის სარწყავი სისტემის ზემო მაგისტრალური არხით ჩადის. 1953 წელიდან ექსპლუატაციაშია და თბილისის მოსახლეობას წყლით ამარაგებს.



პირველი შეჩერება ზოგადი ინფორმაციისათვის

აქედან გზა გავაგრძელებთ ჩრდილოეთ მიმართულებით და მივედით სარკინიგზო მაგისტრალთან, სადაც ახალი მაგისტრალის მშენებლობის გამო საკმაოდ ვრცელ ფართობზე იყო ხელოვნური გაშიშვლება. ადგილზე გავზომეთ ქანების შრეების წოლის ელემენტები, შემდეგ ავაგეთ ამ გაშიშვლების გეოგრაფიული ჭრილი. ამისათვის ორ პარალელურ ფერდზე ერთმანეთის პარალელურად სხვადასხვა სიმაღლეებზე დავსვით დაკვირვების წერტილები და ამ წერტილებს შორის გავზომეთ შრეების წოლის ელემენტები, შემდეგ უკვე ამ მონაცემებით სავსე პირობებში ავაგეთ გეოგრაფიული და გეოლოგიური ჭრილები. სხვადასხვა მონაცემების მისაღებად გამოვიყენეთ გეოლოგიური კომპასი, თეოდოლიტი და ბუსოლი.





დ.წ. 1

აქედან გზა გავაგრძელებთ ავჭალის მიმართულებით. ავჭალის ტერიტორიაზე ვნახეთ კვარციანი ქვიშაქვების რამდენიმე კარიერი. აქ მოპოვებული ქვიშა ჩააქვთ ქარხანაში, სადაც სილიკატური აგური მზადდება. კარიერზე პირველადი დაკვირვებით შეინიშნებოდა კვარცის შემცველი ქვიშაქვები, გვხვდებოდა თაბაშირიანი უბნებიც.



დ.წ. 2 - ავჭალა

დაკვირვების წერტილებიდან ავიღეთ ქანების ნიმუშები და ამით დავასრულეთ ამ დღის საქმიანი ნაწილი.

დღის ბოლოს შესაფერისი ადგილი ვიპოვეთ დასასვენებლად და მხიარულად დავასრულეთ ჩვენი საველე-გეოლოგიური მარშრუტი.



დღის ბოლოს...

სტუდენტები: რუსუდან მეტრეველი

ნინო ნოზაძე